თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ოქმი № 14

30 ივლისი 2019 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 21 დეპუტატი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული: 1, 2 საკითხის განხილვას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი, მესამედან-მეშვიდე საკითხის განხილვას ესწრებოდა - 18 წევრი, მერვედან მეთოთხმეტე საკითხის განხილვას ესწრებოდა - 19 წევრი.

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილ თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მწვანეები" თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ მუსაევი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე	**ვასილ არაბული;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე	**გიგა მამუკელაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე	**ბაადური რევაზიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე	**გიორგი ქიზიყელაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარის მოადგილე	**ზურაბ ნაცარაშვილი;**

საკრებულოს წევრები: ზაქარია გრიშიკაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, უჩა ჭოტიაშვილი, აბრამ მახარიაშვილი(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ქსოვრელიშვილი;**
კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **ფიქრია ყუშიტაშვილი;**
იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი;**
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი **დიმირი ზაქაიძე;**
საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები - **ნინო ტაბიძე, სოფიო ოხანნაშვილი, გიორგი ფარადაშვილი;**
მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები;
მოქალაქეები: **არჩილ მჭედლიშვილი, მაკა მოსიაშვილი.**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **დავით ქსოვრელიშვილმა** მოითხოვა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნეს:

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების მომხსებელი გ.თავბერიძე იმყოფება შვებულებაში, მის მაგივრად საკითხებს წარმოადგენს ქონების მართვის განყოფილების უფროსი დიმიტრი ზაქაიძე.

საკრებულოს წევრმა **ი.პარწიკანაშვილმა,** მოქალაქეებმა **ა.მჭედლიშვილმა, მ.მოსიაშვილმა** მოითხოვეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომ სიტყვის უფლება.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:
(გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა)

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

   მომხს.ნ.ვაყელიშვილი
   12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №12 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
   12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
   12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის ღვინის პარკის“ მიმართ ლიკვიდაციის პროცესის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს.ლ.ბერძენაშვილი
   12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. დ.ზაქაიძე
   12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. დ.ზაქაიძე
   13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხს. დ.ზაქაიძე
   13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვახტანგ ხუციშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. დ.ზაქაიძე

13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შ.პ.ს. „ლოპოტასათვის" დროებით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. დ.ზაქაიძე

13.30სთ-დან - 13.40სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. დ.ზაქაიძე

13.40სთ-დან - 13.50სთ-მდე

11. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N9 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს.ნ.ხვისტანი

13.50სთ-დან - 14.00სთ-მდე

12. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები" თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შვებულების შესახებ.

მომხს.ნ.ხვისტანი

14.00სთ-დან - 14.10სთ-მდე

13. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი

14.10სთ-დან - 14.20 ს-მდე

14. „სხვადასხვა"

<u>1.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხს.ნ.ვაყელიშვილი

12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **დ.ღაღანიძემ, გ.მამუკელაშვილმა,**

ბ.რევაზიშვილმა დასვა კითხვა მუნიციპალური ტრანსპორტის და შესაბამისი სადგომის შესახებ.

მოქალაქე **მ.მოსიაშვილმა** განმარტებები მოითხოვა წარმოდგენილი პროექტების ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულ შეკითხვებს უპასუხეს ნ.ვაყელიშვილმა და დ.ქსოვრელიშვილმა.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 17-მა (ჩვიდმეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 3-მა (სამი) წევრმა: **ზ.ნაცარაშვილმა, ა.მახარიაშვილმა, ლ. მენთეშაშვილმა.**

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №12 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი

12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.რევაზიშვილმა** არნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ხელს უნდა უწყობდეს ნიჭიერ ბავშვებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ფესტივალებში და კონკურსებში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე ბიუჯეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში ვერ ვეხმარებით, ამიტომ მერიაში მიმდინარეობს მუშაობა, რათა შეიქმნას შესაბამისი პროგრამა, რომლის მეშვეობითაც მოხდება ნიჭიერი ახალგაზრდების დახმარება და აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებში. (საკითხი დაყენებულია შესაბამისი სამინისტროს და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის წინაშე).

მოქალაქე **ა.მჭედლიშვილმა** დასვა კითხვა „კულტურული ინიციატივები“ პუნქტთან დაკავშირებით, რაზეც შსაბამისი განმარტებები გააკეთა მომხსენებელმა.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი

12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **დ.ღაღანიძემ,**

ი.პარწიკანაშვილმა ისაუბრა სოფელ აკურაში განსახორციელებელი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. მან აღნიშნა, რომ სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვიდან რჩება ეკონომია და კარგი იქნება თუ დარჩენილი ეკონომია დაემატება სველი წერტილების მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების ხარჯებს.
საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ ი.პარწიკანაშვილის მოსაზრებას და მიზანშეწონილად მიიჩნიეს აღნიშნული ცვლილებების განხორციელება.

საკითხის განხილვის პროცესში სხდომა დატოვეს საკრებულოს წევრებმა: ა.მახარიაშვილმა და ზ.ნაცარაშვილმა.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 17-მა (ჩვიდმეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ლ. მენთეშაშვილმა.**

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის ღვინის პარკის“ მიმართ ლიკვიდაციის პროცესის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს.ლ.ბერძენაშვილი
2.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ბ.რევაზიშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს.დ.ზაქაიძე
12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ბ.რევაზიშვილმა

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა - 13.00სთ-დან -13.10 სთ-მდე

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.დ.ზაქაიძე
13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.დ.ზაქაიძე
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხის განხილვის შედგომ სხდომის მუშაობას შემოუერთდა გ.წულუკიძე.

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვახტანგ ხუციშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.დ.ზაქაიძე
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

9.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შ.პ.ს. „ლოპოტასათვის" დროებით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.დ.ზაქაიძე

13.30სთ-დან - 13.40სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

10.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს.დ.ზაქაიძე

13.40სთ-დან - 13.50სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ბ.რევაზიშვილმა

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

11.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N9 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს.ნ.ხვისტანი

13.50სთ-დან - 14.00სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

12.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები" თავმჯდომარის მაია მარკოზაშვილის შვებულების შესახებ.

მომხს.ნ.ხვისტანი

14.00სთ-დან - 14.10სთ-მდე

გადაწყვიტეს: მიღებული იქნეს ცნობად - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -კონსერვატორები" თავმჯდომარის, მაია მარკოზაშვილის შვებულება - 2019 წლის 24 ივლისისდან 12 აგვისტოს ჩათვლით.

13.მოისმინეს: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

მომხს.დ.ქსოვრელიშვილი

14.10სთ-დან - 14-20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **დ.ღაღანიძემ, გ.ორკოდაშვილმა**

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

14.მოისმინეს: **"სხვადასხვა"**

1. **ი.პარწიკანაშვილმა** ისაუბრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შესახებ დასუფთავების კუთხით და აღნიშნა, რომ სოფლებში

ხშირია შემთხვევები როცა გარემო ბინძურდება სხვადასხვა სახის ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთებით და ნივთიერებებით.
მან ასევე იასუბრა საგზაო დეპარტამენტის გამგებლობაში არსებული გზების მიმდებარე სანიაღვრე არხებში არსებული ანტისანიტარული მდგომარეობის შესახებ.
ი.პარწიკანაშვილმა აგრეთვე ისაუბრა იმის თაობზე, რომ სისტემატიურად უნდა ხორციელდებოდეს კონტროლი მერიის საქმიანობაზე და საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე. მან ხაზი გაუსვა სპორტულ აიპებში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ.

2. მოქალაქე **ა.მჭედლიშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულომ უნდა შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუნიციპალური ტრანსპორტის შესახებ იმუშავებს.
   მან ასევე ისაუბრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო ძაღლების პრობლემის შესახებ.

3. მოქალაქე **მ.მოსიაშვილმა** ისაუბრა „ნადიკვარი"-ს და „ყადორი"-ს პარკებში არსებული მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ნადიკვარზე არსებული ატრაქციონები არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**